სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/05

ქ. თბილისი 22 იანვარი 2024 წ.

ასოცირებულ პროფესორ ზაზა სოფრომაძისათვის აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-8 პუნქტის, 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის და მე-10 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, აკადემიური საბჭოს წევრის ასოც. პროფესორ ზაზა სოფრომაძის განცხადების და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის №01-05-02/04 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრს, სტუ-ს ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოც. პროფესორ ზაზა სოფრომაძეს, პირადი განცხადების საფუძველზე, შეუწყდეს აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილება, უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) არჩევნებში კანდიდატად რეგისტრაციის გამო.
2. დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**